



კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის  
საქართველო, ქ. თბილისი 0154, კედლას ქ. 7.  
+995 (32)2356 609;  
[ciltbilisi@gmail.com](mailto:ciltbilisi@gmail.com)  
<http://www.disability.ge/>

## “სპეციალური მოსარჩელე” საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში

სტატიის ავტორი:  
ქეთევან ხომერიკი



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

"ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს."

16 ნოემბერი 2020

## ანოტაცია:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საქართველოში ხშირად აწყდებიან სხვადასხვა სახის ბარიერებს. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კანონმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ შემოიტანა სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციის ცნება. წინამდებარე სტატია მიმოიხილავს საერთაშორისო პრაქტიკას საჯარო ინტერესის სამართალწარმოების და მისი განმახორციელებელი ორგანიზაციების პრაქტიკის შესახებ, რომელზეც დაყრდნობითაც იქნა შემოღებული სპეციალური ინტერესის მქონე ორგანიზაციის სტატუსი; განიხილავს საქართველოს კანონმდებლობაში ასახულ ცვლილებებს და სპეციალური ინტერესის განმახორციელებელი ორგანიზაციის როლს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირებაში. ასევე, ჩამოთვლის რეკომენდაციებს, რომელთა ასახვა კანონმდებლობაში აუცილებელია, რათა სპეციალურმა მოსარჩელემ შეძლოს მისთვის კანონით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება.

## სარჩევი

შესავალი.....	2
1. საჯარო ინტერესის სამართალწარმოების არსი და წარმოშობის ისტორია .....	4
2. საჯარო ინტერესის სამართალწარმოების საერთაშორისო პრაქტიკა .....	7
3. დასკვნები საერთაშორისო პრაქტიკიდან.....	9
4. „სპეციალური მოსარჩელე“ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აღვოკატირების საქმეებში .....	11
5. დასკვნა და რეკომენდაციები .....	13
ბიბლიოგრაფია .....	16

## შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 14 ივლისს მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (შემდეგში „კანონი“).<sup>1</sup> კანონმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან (შემდეგში „კონვენცია“)<sup>2</sup> საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, შემოიტანა მთელი რიგი სიახლეები: განსაზღვრა (i) გონივრული მისადაგების პრინციპი, (მუხლი 2(გ));<sup>3</sup> (ii) დამოუკიდებელი ცხოვრების ცნება, (მუხლი 2(ი));<sup>4</sup> (iii) პერსონალური ასისტენტის სერვისი, (მუხლი 2(კ));<sup>5</sup> (iv) პირის ჯანმრთელობისა და შეზღუდული შესაძლებლობის

<sup>1</sup> საქართველოს კანონი 'შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ' (მიღების თარიღი 14 ივლისი.2020)

<sup>2</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (მიღებული 13 დეკემბერი 2006)

<sup>3</sup> გონივრული მისადაგება - გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს და ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში

<sup>4</sup> დამოუკიდებელი ცხოვრება - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტონომია, მისი არჩევანის, გადანაცვტილების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის თავისუფლება, რომლის რეალიზებაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვების დახმარებით, მათ შორის, სხვადასხვა სერვისის მიწოდების გზით

<sup>5</sup> პერსონალური ასისტენტი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას

განსაზღვრის, გაზომვის და პოლიტიკის თეორიების მოდელი (მუხლი 2(ლ)).<sup>6</sup> ასევე, პირველად, განსაზღვრა „სპეციალური მოსარჩელე“, როგორც ორგანიზაცია, რომელსაც კანონის შესაბამისად ეძლევა უფლება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე აწარმოოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან, ან იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია სფეროში სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებისთვის.<sup>7</sup> კანონი აღნიშნულ უფლებამოსილებას ანიჭებს ორგანიზაციას, როგორც ინდივიდუალურ, ისე უფლების კოლექტიურ/ჯგუფურ დარღვევასთან დაკავშირებით.<sup>8</sup>

სტატიის მიზანია თეორიულად განიხილოს სპეციალური მოსარჩელის პოტენციური როლი და მნიშვნელობა საქართველოში შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში და იმსჯელოს, რამდენად შეუძლია სპეციალურ მოსარჩელეს სამართალწარმოების გზით პოზიტიური როლი ითამაშოს საქართველოში შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირების საქმეებში და ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური ბარიერებისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრას.

წინამდებარე სტატიას აქვს თავისი შებლუდვები. გამომდინარე იქიდან, რომ სპეციალური მოსარჩელის ცნებას საქართველოს კანონმდებლობა 2020 წლამდე არ იცნობდა და არ არსებობს შესაბამისი პრაქტიკა, აღნიშნული სტატია არ არის გამყარებული არც საქართველოში და არც შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული შესაბამისი პრაქტიკით. სტატია ეყრდნობა „სპეციალურ მოსარჩელესთან“ დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს; აკადემიურ სტატიებს და მათი ავტორების მიერ გაკეთებულ შეფასებებს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ საჯარო ინტერესის სამართალწარმოების პრაქტიკასთან დაკავშირებით. ასევე, უშუალოდ საჯარო ინტერესის განმახორციელებელი ორგანიზაციების კვლევებს.

სტატია დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველი ნაწილი განიხილავს საჯარო ინტერესის სამართალწარმოების არსს და მისი წარმოშობის მოკლე ისტორიას, რადგან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სპეციალური მოსარჩელე“ სწორედ საჯარო ინტერესის სამართალწარმოების კონცეფციაზეა დაფუძნებული. მეორე ნაწილი მიმოიხილავს საერთაშორისო გამოცდილებას საჯარო ინტერესის სამართალწარმოების ირგვლივ. ასევე, ახსნის იმ ბარიერებსა და რეკომენდაციებს, რასაც საერთაშორისო მკვლევარები იძლევიან ამა თუ იმ ქვეყნის პრაქტიკაზე დაყრდნობით. მეოთხე ნაწილი კი განმარტავს „სპეციალურ

<sup>6</sup> ბიოფსიქოსოციალური მოდელი - ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე და ადამიანის ორგანიზმის/ორგანოთა სისტემის, ქცევითი სტილის, კოგნიტური პროცესების ურთიერთკავშირზე გარემო ფაქტორებთან

<sup>7</sup> საქართველოს კანონი „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუხლი 19(1)(2)

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 19(1)(3)

მოსარჩელესთან“ დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, განიხილავს მის პოტენციურ როლს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით და იძლევა იმ რეკომენდაციებს, რომელთა იდენტიფიცირება სასამართლო პრაქტიკის გარეშე შესაძლებელი გახდა.

## 1. საჯარო ინტერესის სამართალწარმოების არსი და წარმოშობის ისტორია

კონცეფცია, რომელზეც საქართველომ „სპეციალური მოსარჩელის“ ინსტიტუტი დააფუძნა მსოფლიოსთვის სიახლე არ არის. ის ძირითადად საჯარო ინტერესის სამართალწარმოების სახელით არის ცნობილი და გამოიყენება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. მისი უფლებამოსილების არეალი - ვის, რა საკითხებთან და რა ფორმით ეძლევა უფლება საჯარო ინტერესის საქმეები წარადგინოს სასამართლოს წინაშე, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად რეგულირდება.

საჯარო ინტერესის სამართალწარმოება სამართალწარმოების არატრადიციული ფორმაა და შეიქმნა იმ მიზნით, რომ

- (i) გაცდეს კონკრეტული პირების ინტერესებს
- (ii) მოიცვას ფართო ჯგუფები
- (iii) სხვადასხვა ჯგუფების სახელით აწარმოოს საქმეები სასამართლოში და
- (iv) ხელი შეუწყოს მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმების და ცვლილებების განხორციელებას.<sup>9</sup>

შესაბამისად, საჯარო ინტერესის სამართალწარმოების შედეგად მიღებული ბენეფიტები არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით და კონკრეტულ საქმეში მონაწილე პირებით.<sup>10</sup> ის მოიცავს საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებს, კატალიზატორის როლს ასრულებს, რათა მიაპყროს ხელისუფლების ყურადღება კონკრეტული საკითხების მიმართ, გააძლიეროს ადვოკატირება, მონიტორინგი, ხელი შეუწყოს კვლევების შექმნასა და დებატებს მონყველად ჯგუფებთან დაკავშირებული ამა თუ იმ პრობლემური საკითხის ირვლივ.<sup>11</sup>

საჯარო ინტერესის საქმეები სასამართლოში შესაძლებელია როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა აწარმოოს. საქმეების წარმოება სასამართლოში შესაძლებელია სხვადასხვა გზით: (i) დაინტერესებულმა პირმა საჯარო ინტერესის განმახორციელებელ ორგანიზაციას მიანიჭოს კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილება; (ii) საჯარო ინტერესის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ თავად წარადგინოს სარჩელი იმ თემის სახელით, ვისი უფლების სავარაუდო

<sup>9</sup> James A. Goldston, 'Public Interest Litigation in Central and Eastern Europe: Roots, Prospects, and Challenges' (2006) 28 Hum Rts Q 492-527, 496

<sup>10</sup> Stephen Grosz, 'A JUSTICE/PLP Report', (1996) 1 Jurid Rev 147-151, 147

<sup>11</sup> Goldston, 501

დარღვევაც არის სახეზე. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, ან სასამართლო პრაქტიკა რამდენად ფართოდ განმარტავს locus standi-ს დოქტრინას, ანუ სასამართლოში სარჩელის შეტანის ან სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას.<sup>12</sup> შესაბამისად, საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელებისას, თუნდაც კოლექტიური უფლების დაცვის მიზნით, მოსარჩელე ხშირად მაინც ვალდებულია ან კონკრეტული მოსარჩელე (მოსარჩელეები) წარადგინოს სასამართლოში, ან დაასაბუთოს პირადი ინტერესი ყოველი კონკრეტული საქმის მიმართ. უფრო დეტალურად ამ საკითხს სტატია მომდევნო ნაწილში შეეხება.

საჯარო ინტერესის სამართალწარმოების დასაწყისად შესაძლებელია 1960-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატები მივიჩნიოთ, როცა საჯარო ინტერესის სამართლის ორგანიზაციებმა მიიღეს სოციალური მოძრაობის სახე და გამორჩეული როლი ითამაშეს ამერიკის სამართლებრივი სისტემის განვითარებაში.<sup>13</sup> ამ პერიოდის ორგანიზაციები მიზნად ისახავდნენ სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით მოსახლეობის იმ ნაწილის ინტერესების დაცვას, რომლებიც მათი აზრით არაპროპორციულად (არასაკმარისად) იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკურ პროცესებში.<sup>14</sup> ამავე პერიოდიდან საჯარო ინტერესის სამართალი ავსტრალიაშიც იღებს სათავეს. ეს პერიოდი ემთხვევა ავსტრალიაში სამართლებრივი დახმარების სქემებისა და სათემო სამართლებრივი ცენტრების დაარსებას.<sup>15</sup> ორგანიზაციები, რომლებიც ჩაერთვნენ საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელებაში, მიიჩნევდნენ რომ სტრუქტურული ცვლილებებისა და სოციალური სამართალიანობის მიღწევა შესაძლებელი იყო სწორედ სამართალწარმოების გზით.<sup>16</sup>

1970-იანი წლებიდან უკვე შესაძლებელი გახდა საჯარო ინტერესის სამართლის ზოგადი ნიშნების გამოკვეთა და შეთანხმება მის დეფინიციებზე. იგი განისაზღვრა როგორც აქტიუობა რომელიც:

- (i) ხორციელდება სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ;
- (ii) უზრუნველყოფს არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების სრულ წარმომადგენლობას;
- (iii) იყენებს სამართლებრივ, ძირითადად კი სამართალწარმოების ინსტრუმენტებს.<sup>17</sup>

<sup>12</sup> Cambridge Dictionary-ის განმარტება

<sup>13</sup> Laura Beth Nielsen and Catherine R Albiston, 'The Organization of Public Interest Practice: 1975-2004' (2006) 84 NCL Rev 1591-1622, 1592

<sup>14</sup> Ann Southworth, 'What is Public Interest Law: Empirical Perspectives on an Old Question' (2013) 62 DePaul L Rev 393 – 518, 496

<sup>15</sup> Mary Anne Noone, 'ADR, Public Interest Law and Access to Justice: The Need for Vigilance' (2011) 37 Monash U L Rev 57, 63

<sup>16</sup> იქვე, 63

<sup>17</sup> Southworth, 496

„არასაკმარისად წარმოდგენილი“ ჯგუფების ცნების ბუნდოვანებამ გამოიწვია საჯარო სამართლის ინტერესის სამართალწარმოების გავრცელება პირთა თვართო ჯგუფებზე. შესაბამისად, 1970-იანებში ამერიკაში ასობით მსგავსი ორგანიზაცია დაფუძნდა, რომელიც ახორციელებდა საჯარო ინტერესის სამართალს, როგორც სამოქალაქო უფლებების, გარემოს, მომხმარებელთა უფლებების, სოციალური დაცვის, ასევე საცხოვრისის უფლებების სფეროებში. საჯარო ინტერესის სამართლის განხორციელებელი ორგანიზაციები, ასევე აქტიურად ჩაერთვნენ მედიის რეფორმების და ოკუპაციური ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში.<sup>18</sup> თავად ტერმინის „საჯარო ინტერესის სამართალწარმოება“ დამკვიდრებას, ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორს აბრამ შეიფს (Abram Chayes) უკავშირებენ, რომელმაც 1976 წელს სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა იმ ამერიკელი იურისტების დასახასიათებლად, რომლებიც სასამართლოს გზით ცდილობდნენ სოციალური რეფორმების და ცვლილებების მიღწევას.<sup>19</sup>

რაც შეეხება ევროპას, გოლდსტონის მტკიცებით, საჯარო ინტერესის სამართალწარმოება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 1990-იან წლებამდე არ არსებობდა.<sup>20</sup> კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დამოუკიდებელმა იურისტებმა და უბრალოდ დაინტერესებულმა მოქალაქეებმა აქტიურად დაიწყეს საჯარო ინტერესის სამართალწარმოების გამოყენება კომუნისტური ეპოქის მიერ შექმნილი ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორცაა: ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, სამართალდამცავი ორგანოების ბოროტად გამოყენება, რასობრივი დისკრიმინაცია ბოშათა მიმართ, გარემოს დაბინძურება და ადამიანის უფლებების სხვა სახის დარღვევები.<sup>21</sup>

საჯარო ინტერესის სამართალწარმოება აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ეფექტური რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ აღმოჩნდა, რომელსაც ყველაზე მტკივნეულად ბოშები განიცდიან.<sup>22</sup> 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საჯარო ინტერესის სამართალწარმოება შეეხო ისეთ სფეროებს, როგორც არის ბოშებზე ძალადობა პოლიციის მხრიდან,<sup>23</sup> უარი სხვადასხვა საჯარო სიკეთეებით სარგებლობაზე (უნგრეთში, ჩეხეთში, ბულგარეთში),<sup>24</sup> გარკვეულ ქალაქებში დასახლების აკრძალვა (სლოვაკეთი),<sup>25</sup> უარი საჯარო სერვისების მიღებაზე (ბულგარეთი)<sup>26</sup> და ყველაზე გავრცელებული - სეგრეგაცია საჯარო განათლების

<sup>18</sup> იქვე, 497

<sup>19</sup> Heba Hazzaa and Silke Noa Kumpf, 'Egyp's Ban on Public Interest Litigation in Government Contracts: A Case Study of Judicial Chill' (2015) 51 Stan J Int'l L 147, 152

<sup>20</sup> Goldston, 492

<sup>21</sup> იქვე, 493

<sup>22</sup> იქვე, 492-527

<sup>23</sup> იქვე, 503-505

<sup>24</sup> იქვე, 507-508

<sup>25</sup> იქვე, 508

<sup>26</sup> იქვე, 509

სისტემიდან (უნგრეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი).<sup>27</sup> ბოშების მიმართ რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტების დღის წესრიგში დაყენება და მათზე ევროპული ინსტიტუციებისა და ეროვნული მთავრობების ყურადღების მიპყრობა, საჯარო ინტერესის სამართალწარმოების დამსახურებაა.<sup>28</sup> საჯარო ინტერესის სამართალწარმოების ფარგლები და მნიშვნელობა განსხვავდება ევროპის ქვეყნებს შიგნით, რომელსაც სტატია შემდეგ ნაწილში შეეხება.

## 2. საჯარო ინტერესის სამართალწარმოების საერთაშორისო პრაქტიკა

როგორც სტატიის პირველ ნაწილში აღინიშნა, საჯარო ინტერესის სამართალწარმოებას საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა. სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მდიდარი ისტორიის მიუხედავად, მის გარკვეულ ასპექტებს დღემდე არ აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული ჩარჩოები. მაგალითად, ყოველ კონკრეტულ საქმეზე დამოკიდებული ჩათვლის თუ არა სასამართლო მესამე პირს უფლებამოსილად წარადგინოს კანონით დაცული, განსაკუთრებით მონყვლადი ჯგუფების ინტერესები სასამართლოს წინაშე.<sup>29</sup> გამონაკლისი აბორტებისა და სიტყვის თავისუფლების დაცვის საქმეებია, რომელზეც სასამართლოს ზოგადად განსაზღვრული კრიტერიუმები გააჩნია იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროს არის შესაძლებელი საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელება.<sup>30</sup>

შტატების მსგავსად, კანადაშიც სასამართლოზე დამოკიდებული მიანიჭოს, ან არ მიანიჭოს მესამე მხარეს უფლება წარადგინოს მონყვლადი ჯგუფის ინტერესები სასამართლოს წინაშე. თუმცა, ამერიკისგან განსხვავებით, სასამართლოს პრაქტიკა კანადაში კონსოლიდირებული და უნიფიცირებულია და მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებზეა დაფუძნებული. კერძოდ, იმისათვის, რომ საჯარო ინტერესის განმხორციელებელი ორგანიზაცია დაშვებულ იქნეს სასამართლოს წინაშე როგორც მოსარჩელე, მან უნდა შეძლოს დემონსტრირება, რომ პირს, რომელსაც უშუალოდ შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილება არ აქვს შესაძლებლობა თავად წარადგინოს საქმე სასამართლოში.<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევა საჯარო ინტერესის სამართალწარმოების აკვნად, ინდოეთი ითვლება ქვეყნად, სადაც საჯარო ინტერესის სამართალწარმოებამ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია.<sup>32</sup> ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი უფლებების დაცვის შესაბამისი ფინანსური რესურსი, უნარ-ჩვევები და ცოდნა, საჯარო ინტერესის

<sup>27</sup> იქვე, 509-515

<sup>28</sup> იქვე, 516

<sup>29</sup> Gwendolyn McKee, 'Standing on a Spectrum: Third Party Standing in the United States, Canada and Australia' (2011) 16 Barry L Rev 115, 117-129

<sup>30</sup> იქვე, 123

<sup>31</sup> იქვე, 133

<sup>32</sup> Hazzaa and Kumpf, 153



სამართალწარმოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ქონდა ხელისუფლების უმოქმედობის საპირწონედ და სოციალური ცვლილებების გამონვევისთვის. სწორედ ამ მიზნით, ინდოეთში არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა ჯგუფებს და დაინტერესებულ მოქალაქეებს მიენიჭათ უფლება, თავად წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე მონყვლადი ჯგუფების ინტერესების დასაცავად.<sup>33</sup> მნიშვნელოვან შედეგს საჯარო ინტერესის სამართალწარმოებამ ინდოეთში ქალთა უფლებებისა და აბორიგენი მოსახლეობის უფლების დაცვაში მიაღწია.<sup>34</sup> ასევე, აღსანიშნავია სიღარიბისა და გარემოს დაცვის სფეროებში მიღწეული შედეგები. მკვლევარები მწუხარებას გამოთქვამენ, რომ საჯარო ინტერესის სამართალწარმოება ინდოეთში ასეთივე წარმატებული არ არის მუშათა და ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის საკითხებთან დაკავშირებით.<sup>35</sup>

ინდოეთის მსგავსად, ბანგლადეშშიც წარმატებული აღმოჩნდა საჯარო ინტერესის სამართალწარმოება. შეიხ მოჰამედი ბანგლადეშში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელებას სოციალურ მოძრაობას უწოდებს.<sup>36</sup> მისი აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მსგავს სამართალწარმოებას ბანგლადეშში განსაკუთრებული წარმატება მოყვა, რადგან ისინი ყველაზე კარგად იყვნენ ინფორმირებული მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესახებ და გააჩნდათ მათი დაცვის შესაბამისი რესურსი.<sup>37</sup> საჯარო სამართლის სამართალწარმოება პოპულარულია სამხრეთ აფრიკაშიც, სადაც ის ძირითადად ხორციელდება მიგრანტთა უფლებების, გარემოს დაცვის, საცხოვრისით უზრუნველყოფის სფეროებში. ასევე განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ლგბტ პირთა უფლებების დაცვის კუთხით.<sup>38</sup>

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში (CJEU) საერთოდ არ არის ნებადართული საჯარო ინტერესის სამართალწარმოება.<sup>39</sup> ევროპის ქვეყნებს განსხვავებული მიდგომა და რეგულაციები აქვთ. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში სასამართლოები ძალიან ვიწროდ განმარტავენ locus standi-ს დოქტრინას და სავალდებულოა პირმა სამართალწარმოებისას უჩვენოს, რომ მას საქმის მიმართ პირადი დაინტერესება გააჩნია.<sup>40</sup> ამის გამო, სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ლიმიტირებულია საჯარო ინტერესის სამართალწარმოების

---

<sup>33</sup> იქვე, 154

<sup>34</sup> Modhurima Dasgupta, 'Public interest litigation for labour: how the Indian Supreme Court protects the rights of India's most disadvantage workers' (2008) 16 Contemporary South Asia 159

<sup>35</sup> იქვე, 162-167

<sup>36</sup> Sheikh Mohammad Towhidul Karim, 'Role of NGO in Developing Public Interest Litigation: An Analytical Study' (2019) 49 Envtl Pol'y & L 145, 148

<sup>37</sup> იქვე, 148

<sup>38</sup> J Klaaren, J Dugard and J Handmaker, 'Public Interest Litigation in South Africa: Special Issue Introduction (2011) 27 SAJHR 1-8, 1

<sup>39</sup> European Parliament, Directorate-General for Internal Policies, 'Standing up for your right(s) in Europe: Locus Standi' (2012) 39

<sup>40</sup> იქვე, 57

განხორციელება.<sup>41</sup> გამონაკლისია საფრანგეთის საკასაციო სასამართლო, სადაც სარჩელის წარდგენა შესაძლებელია კოლექტიური ინტერესის დაცვის მიზნით.<sup>42</sup>

საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განმახორციელებელ ჯგუფებს ევროპაში მეტი თავისუფლება ადმინისტრაციულ საქმეებზე აქვთ. მაგალითად, ბელგიაში ასეთი ჯგუფი/ორგანიზაცია სამი წლის განმავლობაში მაინც უნდა იყოს კონკრეტულ სფეროში აქტიური, რომ უფლება ქონდეს საჯარო ინტერესის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეს წარმოადგენდეს. გერმანიასა და შვედეთში ასეთი უფლება ორგანიზაციის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული.<sup>43</sup>

საჯარო ინტერესის სამართალწარმოებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გარემოს დაცვის სფეროში. მსოფლიოს დაახლოებით 44 ქვეყანაში გარემოსდაცვით საკითხებზე სპეციალიზირებული 1200-ზე მეტი სასამართლო არსებობს.<sup>44</sup> ინდოეთსა და ფილიპინებში განსაკუთრებით ფართოა იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია გარემოსდაცვით საკითხებზე ან მომავალი თაობების უფლებების დაცვის მოთხოვნით სარჩელი წარადგინოს სასამართლოში. ეს უფლება ენიჭება როგორც სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, ისე ცალკეულ იურისტებსაც.<sup>45</sup> ჩინეთში კი, გარემოსდაცვით საკითხებზე სასამართლოში საქმეების წარმოება მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ რომელთაც სფეროში მუშაობის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება გააჩნია.<sup>46</sup>

### 3. დასკვნები საერთაშორისო პრაქტიკიდან

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინტერესის სამართალწარმოების წარმატება უამრავ გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელიც ცდება უშუალოდ ასეთი სამართალწარმოების განმახორციელებელი კონკრეტული პირისა თუ ორგანიზაციის კონტროლის ფარგლებს. შესაბამისად, ასეთ დროს მნიშვნელოვანია შესაძლო შედეგისა თუ ეფექტის გაანალიზება რაც მოყვება საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელების. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავირიდოთ არასწორი წარმოდგენები და პესიმიზმი საჯარო ინტერესის სამართალწარმოების ეფექტურობასთან დაკავშირებით.<sup>47</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა რეგიონში საჯარო ინტერესის სამართალწარმოება განსხვავებულად რეგულირდება და განსხვავებულ კულტურულ გარემოში ხორციელდება, ლოგიკურად ამ მექანიზმს რეგიონების

<sup>41</sup> იქვე, 52

<sup>42</sup> იქვე

<sup>43</sup> იქვე, 76-77

<sup>44</sup> Robert V. Percival, 'The "Greening" of the Global Judiciary' (2017) 32 Fla St U College of Law 333, 341

<sup>45</sup> იქვე, 337-338

<sup>46</sup> იქვე, 343

<sup>47</sup> Dugard and Handmaker, 5

მიხედვით განსახვავებული გამონწვევები უნდა გააჩნდეს. თუმცა, შესაბამისი ლიტერატურის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მსგავსი ბარიერები გააჩნიათ როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და აზიაში. ყველაზე მეტად დამახასიათებელი ყველა რეგიონისთვის აღმოჩნდა (i) დროში განწელილი სასამართლო პროცესები; (ii) პოლიტიკური ნების არ არსებობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად; (iii) ფინანსური არამდგრადობა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ინტერესის სამართალწარმოებას; (iv) ბარიერები კანონმდებლობაში, რომელიც ხშირად ზღუდავს ორგანიზაციებს ფართო ჯგუფის ინტერესები წარადგინონ სასამართლოში და მოიცვან საკითხთა ფართო სპექტრი; (v) იმ სოციალური ჯგუფების მობილიზებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომელთა ინტერესების დასაცავადაც ხორციელდება საჯარო ინტერესის სამართალწარმოება.<sup>48</sup> აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი გამონწვევაა საზოგადოების უნდობლობა, როგორც სასამართლო ხელისუფლებისადმი, ისე ზოგადად სამართლის პროფესიონალების მიმართ.<sup>49</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციები საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განხორციელებისას მსგავს ბარიერებს აწყდებიან, მათი და საკითხზე მომუშავე მკვლევარების ხედვები რეკომენდაციებთან დაკავშირებით სხვადასხვა რეგიონებში მუშაობის მიუხედავად ერთმანეთს ემთხვევა. ამ რეკომენდაციების კონსოლიდირება შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

იმისათვის, რომ საჯარო ინტერესის სამართალწარმოებამ მაქსიმალურ ეფექტს მიაღწიოს, აუცილებელია: (i) ფინანსური ფონდების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონში საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განვითარებას; (ii) ინსტიტუციური ხელშეწყობა (ადამიანური და ტექნიკური რესურსებით) იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ინტერესის სამართალწარმოებას; (iii) უნივერსიტეტებთან არსებული იურიდიული კლინიკების განვითარება და კვლევების ხელშეწყობა სამართლის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობით; (iv) საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განმახორციელებელი იურისტების სათემო ჯგუფებთან დაახლოება და სამართლებრივი ადმინისტრაციის ყველა ეტაპზე თემის აქტიური ჩართვა; (v) საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განმახორციელებელი იურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა თემის წევრებიდან და მათთვის შესაბამისი განათლების დაფინანსება; (vi) საჯარო ინტერესის სამართალწარმოების განმახორციელებელი ადვოკატების მობილიზება და მათი ქსელის შექმნა; (vii) საჯარო ინტერესის სამართალწარმოების ხანგრძლივი სტრატეგიის შექმნა; (viii) სასამართლოში მონაცვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვისთვის შესაბამისი საკანონმდებლო

---

<sup>48</sup> Brian Kearney-Grieve, 'Public Interest Litigation: Summary of a meeting of organizations from Northern Ireland, the Republic of Ireland, South Africa and the United States' (2011) 4-6; James A. Goldston, 'Public Interest Litigation in Central and Eastern Europe: Roots, Prospects, and Challenges' (2006) 28 Hum Rts Q 492-527, 497- 499

<sup>49</sup> Goldston, 497- 499

ცვილილების განხორციელება და შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაფართოვება.<sup>50</sup>

#### 4. „სპეციალური მოსარჩელე“ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების აღვოკატირების საქმეებში

როგორც სტატიის წინა ნაწილებში აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონით შემოტანილი სიახლე „სპეციალური მოსარჩელე“ ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ საჯარო ინტერესის მქონე მოსარჩელის კონცეფციას. სტატიის წინა ნაწილებიდან ცხადი შეიქმნა, რომ მისი რეგულირება და ფარგლები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკის, ბარიერების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ, მაინც შესაძლებელია, გარკვეული დასკვნების გაკეთება, რა პოზიტიური ასპექტები გააჩნია კანონს და რა პროცედურულ სირთულეებს წააწყდნენ სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები.

კანონის მე-19 მუხლი „სპეციალური მოსარჩელე“ განსაზღვრავს საქართველოში სპეციალური მოსარჩელის უფლება-მოვალეობებს (პუნქტები 1-3), მის სამართლებრივ სტატუსსა და რეგისტრაციის წესს (პუნქტები 4-5). კანონის მე-19 მუხლის 1-3 პუნქტების მიხედვით, სპეციალური მოსარჩელე არის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს და მუშაობს:

- (i) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კოლექტიური უფლების დაცვის მიზნით;
- (ii) კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე;
- (iii) დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე;
- (iv) ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში;
- (v) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის საქმეებთან, ან სფეროში პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საქმეებზე.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ საერთაშორისო პრაქტიკით საჯარო ინტერესის განმახორციელებელ ორგანიზაციებს ყოველთვის არ ეძლევათ იმის საშუალება, რომ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მხარედ გამოვიდნენ, ან დაინტერესებული პირის ინტერესი კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე დაიცვან. საქართველოში კი კანონმა, სპეციალურ მოსარჩელეს სასამართლოში წარმომადგენლობის ფართო უფლება მიანიჭა. მას შეუძლია მხარედ წარსდგეს, როგორც კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის

<sup>50</sup> James A. Goldston, 'Public Interest Litigation in Central and Eastern Europe: Roots, Prospects, and Challenges' (2006) 28 Hum Rts Q 492-527; Sheikh Mohammad Towhidul Karim, 'Role of NGO in Developing Public Interest Litigation: An Analytical Study' (2019) 49 Envtl Pol'y & L 145; Steven Budlender, Gilbert Marcus SC and Nick Ferreira, 'Public interest litigation and social change in South Africa' (The Atlantic Philanthropies 2014) 109-127; Jackie Dugard and Malcolm Langford, 'Art of Science? Synthesizing Lessons from Public Interest Litigation and the Dangers of Legal Determinism' (2011) 27 SAJHR 39, 48-52; Stephen Grosz, 'A JUSTICE/PLP Report', (1996) 1 Jurid Rev no.3, 147-151, 147

მქონე პირის ინდივიდუალური ინტერესების დასაცავად, ასევე, იყოს მხარე მთლიანად თემის კოლექტიური უფლების დაცვის შემთხვევაში. თემის კოლექტიური უფლების დაცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საქმეებზე საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კონვენციის მე-9 (მისაწვდომობა) და მე-19 მუხლის (დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებაში ცხოვრებაში ჩართვა) სამართლებრივი ადვოკატირებისთვის. აღნიშნული უფლებები ცდება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა კონვენციებით გარანტირებულ ე.წ პირველი და მეორე თაობის უფლებებს და წარმოადგენს თვისობრივად ახალი ტიპის უფლებას.

რაც შეეხება კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესების დასაცავად სასამართლოში კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე მიმართვას, მას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მისაღებად სხვადასხვა ბარიერს აწყდებიან. აღნიშნული აფერხებს მათ მონაწილეობას სამართლებრივი ადმინისტრირების პროცესში და ეს ბარიერები მათთვის ხშირად დემოტივატორია. აქედან გამომდინარე, კანონის მიერ ამ ბარიერების მოხსნა შეიძლება პოზიტიურად აისახოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობაზე სამართლის ადმინისტრირების ყველა ეტაპზე. თუმცა, ამ დადებით ასპექტს შესაძლებელია ჩრდილი მიაყენოს იმ გარემოებამ, რომ არც კანონით და არც სხვა დამატებითი რეგულაციით არ არის განსაზღვრული, რა ხდება როცა სპეციალური მოსარჩელე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ნების საწინააღმდეგოდ, ან მის უკითხავად წარადგენს პირის ინტერესს სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში.

კანონის პოზიტიურ ასპექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების წარმოების უფლება, თემის სახელით მიენიჭებათ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვთ დაგროვილი. ამით თავიდან იქნება აცილებული მნიშვნელოვანი საქმეების დაწყების გადავადება და კონკრეტული მომჩივანი პირის მოძიებასთან დაკავშირებული ბარიერები. ასევე, მსგავსი საქმეები მნიშვნელოვნად გააფართოვებს საქმიდან მიღებული შედეგების მასშტაბს და ნიადაგს მოამზადებს იმ სოციალური ცვლილებებისთვის, რითაც შესაძლებელი გახდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კანონის პოზიტიურ ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს ასევე, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მინიჭება ორგანიზაციისთვის, როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო საქმეებზე. კანონის აღნიშნული პოზიტიური ასპექტის პრაქტიკაში გატარებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, 2021 წლის იანვრიდან ცვლილება შევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში (მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე) და მართლმსაჯულების განხორციელებისას სხვებთან თანასწორად მონაწილეობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მხარეები და მონაწილეები ისარგებლებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

უფლებების შესახებ კანონით მინიჭებული უფლებებითა და შესაძლებლობებით, მათ შორის სპეციალური მოსარჩელის სტატუსით მონაწილეობის გზით.<sup>51</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ მოსარჩელეს კანონით ადმინისტრაციულ საქმეებზე და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის უფლება მიენიჭათ, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა.<sup>52</sup> ცვლილება შევიდა მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვით, სპეციალურ მოსარჩელეს სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად, მიენიჭა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული იმ პირისა და დაზარალებულის ინტერესის დაცვის უფლება, რომლებსაც შებლუდული შესაძლებლობის გამო, თვითონ არ შეუძლიათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე განახორციელონ თავიანთი უფლებები.<sup>53</sup> თუმცა, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების ასახვის გარეშე, კითხვის ნიშნის ქვეშ არის სპეციალური მოსარჩელის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სრულყოფილად ჩართვის საკითხი. აღნიშნული ასუსტებს სპეციალური მოსარჩელის როლს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში როცა ის სახელმწიფო ორგანოებს უჩივის ამა თუ იმ საფუძველზე.

რაც შეეხება კანონის მე-19 მუხლის 4-5 პუნქტებს, სამართლებრივ სტატუსსა და რეგისტრაციის წესს, ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება სპეციალური მოსარჩელის რეგისტრაციის თუ რა ფორმას შეიმუშავებს იუსტიციის სამინისტრო და საქმიანობის დასადასტურებლად რა ტიპის დოკუმენტაციას მოითხოვს.

## 5. დასკვნა და რეკომენდაციები

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის, მკვლევართა მიერ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემოთავაზებული რეკომენდაციებიდან და საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში „სპეციალური მოსარჩელის“ სტატუსის მქონე ორგანიზაციებისთვის კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესის დაცვის საშუალება წარმოადგენს დადებით ცვლილებას.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებები მის პრაქტიკულ ამოქმედებამდე შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს. ამ ხარვეზების აღმოფხვრისთვის საჭიროა შემდეგი ასპექტების გათვალისწინება და კანონმდებლობაში შესაბამისად ასახვა. კერძოდ:

- (i) აუცილებელია კანონით, ან კანონქვემდებარე აქტით გაინეროს, თუ როგორ და საქმის წარმოების რა ეტაპზე შეუძლია შებლუდული

<sup>51</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღებული 14 ნოემბერი 1997) მუხლი 5

<sup>52</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მიღებული 23 ივლისი 1999)

<sup>53</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მიღებული 13 დეკემბერი 1984) მუხლი 254

შესაძლებლობის მქონე პირს მოითხოვოს საქმის წარმოების შეჩერება, თუ სპეციალურმა მოსარჩელემ მისი ნების საწინააღმდეგოდ, ან მის უკითხავად დაიწყო საქმის წარმოება;

- (ii) კოლექტიური უფლების დაცვისას, აუცილებელია მაქსიმალურად იყვნენ ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები სამართლის ადმინისტრირების ყველა ეტაპზე. აღნიშნული წარმომადგენს ასევე კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნას, რადგან მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური ჩართულობით შეიძლება იქნეს მიღწეული მათი ინტერესების დაცვა და პრევენციების სრულად გათვალისწინება;
- (iii) სპეციალური მოსარჩელის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში.

ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდა მკვლევარების მიერ სხვადასხვა ქვეყნისა თუ რეგიონისთვის, რელევანტურია საქართველოსთვისაც და სასურველი იქნება ყველა მათგანის მხედველობაში მიღება: (i) ფინანსური ფონდების შექმნა; (ii) ინსტიტუციური ხელშეწყობა; (iii) კვლევების და უნივერსიტეტებთან არსებული სამართლებრივი კლინიკების განვითარების ხელშეწყობა; (iv) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციების იურისტების დაახლოება სათემო ჯგუფებთან და თემის აქტიური ჩართვა სამართლებრივი ადმინისტრაციის ყველა ეტაპზე; (v) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციებში იურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა თემის წევრებიდან და მათთვის შესაბამისი განათლების დაფინანსება; (vi) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციების ქსელის შექმნა ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე საქმეთა გადანაწილების მიზნით; (vii) სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციების სამართალწარმოების ხანგრძლივი სტრატეგიის შექმნა.

გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ საჯარო ინტერესის სამართალწარმოება სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სფეროებში შეიძლება იყოს წარმატებული. იქნება ეს ქალთა უფლებების თუ ლგბტ პირთა უფლებების, მომავალი თაობის ინტერესების, სიტყვის თავისუფლების, თუ გარემოს დაცვის საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში პირველი ნაბიჯი გადაიდგა და სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციებს მიეცათ საშუალება წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე აწარმოონ ერთ სფეროში პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საქმეები, შესაძლებელია აღნიშნული სისტემის მოქმედების არეალი გაიზარდოს და სხვა მონყვლადი ჯგუფების დასაცავადაც იყოს გამოყენებული. სპეციალურმა მოსარჩელემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროს გარდა შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვთა, ლგბტ პირთა და მშრომელთა უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, სოციალური დაცვისა და გარემოს დაცვით საკითხებზე.

სტატიაში განხილული ყველა ასპექტის (საერთაშორისო, თუ ეროვნული) გათვალისწინებით, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ კანონში შესაბამისი ცვლილებების (განსაკუთრების ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში) ასახვის შემდეგ, სპეციალური მოსარჩელე შეძლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ხარისხის შემდეგ ეტაპზე გადაყვანას და სფეროში მნიშვნელოვანი პრაქტიკის განვითარებას. სამომავლოდ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციებისთვის სამართალწარმოების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება სხვა სფეროებშიც: ბავშვთა, ლგბტ პირების და მშრომელთა უფლებების, სოციალური დაცვისა და გარემოს დაცვის საკითხებზე.



## ბიბლიოგრაფია

### საქართველოს კანონმდებლობა:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მიღებული 13 დეკემბერი 1984)
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მიღებული 23 ივლისი 1999)
3. საქართველოს კანონი 'შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ' (მიღების თარიღი 14 ივლისი 2020)
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღებული 14 ნოემბერი 1997)

### საერთაშორისო ინსტრუმენტები:

5. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (მიღებული 13 დეკემბერი 2006)

### ლიტერატურა:

6. Budlender S, Marcus SC G and Ferreira N, '*Public interest litigation and social change in South Africa*' (The Atlantic Philanthropies 2014) 109-127
7. Dasgupta M, 'Public interest litigation for labour: how the Indian Supreme Court protects the rights of India's most disadvantage workers' (2008) 16 Contemporary South Asia 159
8. Dugard K J and Handmaker J, 'Public Interest Litigation in South Africa: Special Issue Introduction (2011) 27 SAJHR 1
9. Dugard K J and Langford M, 'Art of Science? Synthesizing Lessons from Public Interest Litigation and the Dangers of Legal Determinism (2011) 27 SAJHR 39
10. Goldston J A, 'Public Interest Litigation in Central and Eastern Europe: Roots, Prospects, and Challenges' (2006) 28 Hum Rts Q 492-527
11. Grosz S, 'A JUSTICE/PLP Report', (1996) 1 Jurid Rev 147-151
12. Hazzaa H and Kumpf S N, 'Egypt's Ban on Public Interest Litigation in Government Contracts: A Case Study of Judicial Chill' (2015) 51 Stan J Int'l L 147
13. Kearney-Grieve B, '*Public Interest Litigation: Summary of a meeting of organizations from Northern Ireland, the Republic of Ireland, South Africa and the United States*' (2011)
14. McKee G, 'Standing on a Spectrum: Third Party Standing in the United States, Canada and Australia' (2011) 16 Barry L R 115
15. Nielsen L B and Albiston C R, 'The Organization of Public Interest Practice: 1975-2004' (2006) 84 NCL Rev 1591-1622
16. Noone M A, 'ADR, Public Interest Law and Access to Justice: The Need for Vigilance' (2011) 37 Monash U L Rev 57
17. Percival R V, 'The "Greening" of the Global Judiciary' (2017) 32 Fla St U College of Law 333
18. Southworth A, 'What is Public Interest Law: Empirical Perspectives on an Old Question' (2013) 62 DePaul L Re 393 – 518

19. Towhidul Karim S M, 'Role of NGO in Developing Public Interest Litigation: An Analytical Study' (2019) 49 Env'tl Pol'y & L 145

**სხვა წყაროები:**

20. Cambridge Dictionary
21. European Parliament, Directorate-General for Internal Policies, 'Standing up for your right(s) in Europe: Locus Standi' (2012)